სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და 2021-2022 წ.წ. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა

მიზანი

მონიტორინგის მიზანია, გამოავლინოს სტრატეგიის, 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის და ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტურობა, რელევანტურობა და მისი გავლენა სამოქალაქო ინტეგრაციის და უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხზე არსებულ გამოწვევებთან მიმართებით. დააფიქსიროს 2021-22 წლების შესრულების ხარისხი, შედეგები, ნაკლოვანებები, დასახვეწი მიმართულებები, ტენდენციები და გამოწვევები, წარმოადგინოს წინადადებები და რეკომენდაციები.

მეთოდოლოგია

- **მონიტორინგის ეტაპები და დაფარვის არეალი:** მონიტორინგი განხორციელდა 2023 წლის მაისი-ივლისის პერიოდში. მონიტორინგში მონაწილეობდა ორი მოწვეული ექსპერტი, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის თანამშრომლები და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს ხუთი წევრი. 2023 წლის მაისში, ივნისსა და ივლისში განხორციელდა საველე ვიზიტები. საბჭოს წევრებმა, ჯამში 43 შეხვედრა ჩაატარეს, მათ შორის 19 ქვემო ქართლში (მარნეული, დმანისი, ბოლნისი, რუსთავი), 11 სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე, ახალქალაქი და ნინოწმინდა), და 13 კახეთში (ახმეტა, ლაგოდეხი და ყვარელი).
- **სამაგიდე კვლევა:** სამაგიდე კვლევის ფარგლებში, განხორციელდა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ანალიტიკური დოკუმენტებისა და ანგარიშების ანალიზი. უფრო კონკრეტულად, მოწვეულმა ექსპერტებმა და შეფასების ავტორებმა შეისწავლეს საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე არსებული მექანიზმები, რეკომენდაციები, წლიური ანგარიშები, ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ სამთავრობო ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ასევე, სამინისტროებიდან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონული თვითმმართველობებიდან და სხვა რელევანტური სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია.
- **თვისებრივი კვლევა:** ჩატარდა 13 ინდივიდუალური ინტერვიუ სახელმწიფოს, უმცირესობათა და მედიის წარმომადგენლებთან და ეთნიკურ უმცირესობათა თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან.
- **რაოდენობრივი კვლევა:** გაანალიზდა სახალხო დამცველის მიერ სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციები და სტატისტიკური ინფორმაცია. შემუშავდა ონლაინ კითხვარი, რომელიც დაეგზავნათ საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა საბჭოების წევრ ორგანიზაციებს, სფეროს ექსპერტებს, თემში მომუშავე სამოქალაქო აქტივისტებს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მოსწავლეებს და კურსდამთავრებულებს.

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

კითხვარში 51 ინდივიდუალური პასუხი დაფიქსირდა (65% ქალი). დასმული იყო 15 შეკითხვა, რომელზეც მონაწილეებმა უპასუხეს ქულის მინიჭებით და ინდივიდუალური კომენტარით.

- **კვლევის ინსტრუმენტი:** მოკვლევის პროცესში, დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის მიერ, შემუშავდა ჩაღრმავებული ინტერვიუს გზამკვლევი, რომლის ადაპტირება მოხდა თითოეული ინტერვიუსთვის საბჭოს წევრების მიერ. ასევე, შემუშავდა ონლაინ კითხვარი, რომლის მიზანი იყო უმცირესობათა წარმომადგენლების, უმცირესობათა თემებზე მომუშავე ორგანიზაციების და ექსპერტების, ახალგაზრდების და ქალების აზრის შესახებ ინფორმაციის მოძიება და ანალიზი სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით განხორციელებული პოლიტიკის, პრიორიტეტების და მიზნების შესახებ.
- **შერჩევა:** მონიტორინგის პროცესისთვის, გამოყენებულ იქნა კლასტერული და მიზნობრივი შერჩევა. კერძოდ, რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემდეგი ჯგუფებიდან: საჯარო მოხელეები, ეთნიკურ უმცირესობებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის, საგანმანათლებლო დაწესებულებების, უმცირესობათა თემების წარმომადგენლები. შერჩევის დროს, ასევე ყურადღება გამახვილდა ქალების და ახალგაზრდების მონაწილეობაზე.
- **მონაცემთა ანალიზი:** მონიტორინგის ფარგლებში მიღებული რაოდენობრივი მონაცემები ძირითადად აღწერითი სტატისტიკისთვის იქნა გამოყენებული, პრობლემის აღწერის - არსებული ტენდენციებისა და მდგომარეობის აღსაწერად. თვისებრივი მონაცემების კოდირება მოხდა მკვლევართა ჯგუფის მიერ და მიღებული ინფორმაციის გამოყენება, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შეფასებისას, ისე რეკომენდაციების შესამუშავებლად.

<u>შეზღუდვა:</u> მონიტორინგის პროცესში 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში არ იყო ხელმისაწვდომი.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

უმცირესობათა საბჭოს წევრი ორგანიზაციები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ჩართული იყვნენ 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში, ეთნიკური საბჭოს მიერ წარდგენილი რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა სტრატეგიის ნაწილში. ეთნიკური საბჭოს წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციები არასათანადოდ იყვნენ ჩართული 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, ხოლო სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ნაწილობრივ გაითვალისწინა მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

გეგმაში წარმოდგენილი ოთხი გავლენის და შვიდი ამოცანის ინდიკატორი არ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 629 დადგენილებას ინდიკატორთა SMART კრიტერიუმების (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში გაწერილი) შესახებ. ასევე, გეგმაში გაწერილი რისკები არ უკავშირდება კონკრეტულ ამოცანებს და მიზნებს.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების/სასწავლო კომპონენტების შედეგიანობა ძირითადად მხოლოდ რაოდენობრივ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით მოწმდება. სამოქმედო გეგმაში შეიმჩნევა

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

ხარისხობრივი ინდიკატორების ნაკლებობა, რომლებიც აქტივობათა შედეგების ეფექტიანობას დაადასტურებს.
გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი მიზნის ქვეშ (მაგ. მიზნები 1, 2, 3) გათვალისწინებული აქტივობები არათანაბარწონიანია. რიგ შემთხვევაში, მათი შედეგების/გავლენის მასშტაბი რადიკალურად განსხვავდება. ზოგიერთ აქტივობა მხოლოდ ერთი კონკრეტული დავალებით შემოიფარგლება, სხვა აქტივობები კი სისტემურ ღონისძიებათა კასკადს მოითხოვს.
გეგმაში წარმოდგენილი მეოთხე მიზნის შესრულების ინდიკატორები არც ერთ ნაწილში (ამოცანა/აქტივობა) არ ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების ე.წ. მიტოვების მაჩვენებლის მონიტორინგს, გეგმის მეშვიდე მიზნის შესრულების ინდიკატორები ვერ ახდენს მიღწეული შედეგების დადასტურებას რაიმე სტატისტიკურ/რიცხობრივ მონაცემზე ბმით.
ხარისხიანი იურიდიული სერვისების ხარისხის გაზომვა ვერ მოხდება საინფორმაციო კამპანიის გაფართოებით. გეგმაში წარმოდგენილი მერვე მიზნის შესრულების ინდიკატორები მხოლოდ რეგიონულ მონაცემებს მოიცავს და არ ასახავს უმცირესობათა წარმომადგენელი ბენეფიციარებისთვის გაწეულ სარგებელს.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში (2009 წლიდან დღემდე) ეროვნული უმცირესობების ნაწილის მიმართ არავითარი აქტივობა არ განხორციელებულა (ბერძნები, პოლონელები, გერმანელები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, ლაიჯები (თათები), და სხვა).

მიზანი 1:

- სახელმწიფო ენის შესწავლის გასაუმჯობესებლად მიღებული ზომები სათანადოდ ვერ აგვარებს სტრუქტურული თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს, განსაკუთრებით სკოლამდელ, დაწყებით და საშუალო საფეხურებზე. ვერ ხდება პროგრამების/ღონისძიებების პრაქტიკული ეფექტიანობის გაზომვა, რადგან შედეგები ძირითადად ბენეფიციართა რიცხობრივი სტატისტიკით შემოიფარგლება და არ ასახავს მონიტორინგისა და შეფასების/შედეგების გაზომვის მექანიზმების აღწერას - ხარისხობრივი ინდიკატორების გარეშე ვერ ხდება მათი პრაქტიკული ეფექტიანობის გადამოწმება.
- ეროვნულ უმცირესობათა თემებში სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზების მიზნით, სსიპ ჟვანიას სკოლის მობილური ჯგუფების გეოგრაფიული არეალი უნდა გაფართოვდეს.
- ქართული ენის ცოდნის შეფასების ერთიანი სტანდარტი, ენის ფლობის ზოგად ევროპულ ჩარჩოსთან (CEFR) თავსებადი და თანმიმდევრული უნდა გახდეს.
- გამოიკვეთა, ქართული ენის შემსწავლელი დამატებითი მიზნობრივი პროგრამების შემუშავების და უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე მიმდინარე ეფექტიანი საგანმანათლებლო პროგრამის „1+4“-ის რევიზიის საჭიროება, საერთაშორისო და ადგილობრივი რეკომენდაციების გათვალისწინებით; ისევე, როგორც ამ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა წახალისება ადგილობრივი თემისთვის პრიორიტეტულ დარგებში დასასაქმებლად.

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

მიზანი 2:

- გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში ჩართულ საჯარო სექტორში დასაქმებულთა მაჩვენებელი (2019-2022 წლებში მხოლოდ 1.3% იყო საჯარო სექტორში დასაქმებული პირი). რიგ შემთხვევაში, შეიმჩნევა აქტივობების და მათი შესრულების ინდიკატორების დროში არათანმიმდევრული განაწილება (ჯერ აქტივობა, შემდგომ კვლევა, რომელსაც აქტივობა უნდა დაეყრდნოს) (მაგ. ამოცანა 2.1.).
- გამოწვევად რჩება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის (FCNM) მოთხოვნათა შესაბამისად ტოპოგრაფიული ნიშნების განთავსება უმცირესობათა ენებზე იმ „ტრადიციულ დასახლებებში“, სადაც ცხოვრობს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიზანი 3:

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი ეროვნულ მაჩვენებელს სულ მცირე 36.5%-ით, ხოლო ევროპულ სამიზნე ნიშნულს 62%-ით ჩამორჩება.
- საკადრო რესურსის სიმწირის, საგანმანათლებლო რესურსების სიმცირის, ინფრასტრუქტურული და სხვა არაერთი გამოწვევის ფონზე, ბილინგვური პროგრამის გაფართოება ნელა მიმდინარეობს - 11 ძირითადი სამიზნე მუნიციპალიტეტიდან, ბილინგვური სკოლამდელი განათლების პილოტურად დანერგვა ქვემო ქართლისა და სამცხე ჯავახეთის 4 მუნიციპალიტეტში (ნინოწმინდა, მარნეული, ახალციხე, ახალქალაქი) 14 საბავშვო ბაღში მიმდინარეობს; ბილინგვურ სწავლებაზე დღემდე გადასულია საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის მხოლოდ 14% (41 სკოლა/სექტორი). კვლევაზე დაფუძნებული ერთიანი სტრატეგიული სახელმწიფო ხედვის ნაკლებობა. არ არის ბილინგვური/მულტილინგვური სწავლების კონკრეტული მოდელი, რომელიც ყველა შესაბამის საგანმანათლებლო საფეხურს მოიაზრებს, საფეხურებს შორის ბმის გათვალისწინებით.
- 2020-2021 წელს, უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთა 40%-ი ქართულენოვან სკოლებში დარეგისტრირდა. გაზრდილია მოთხოვნა ქართულენოვან ბაღებზეც. ე.წ. შერეულ ჯგუფებში. შესაბამისად, გამოიკვეთა ახალი გამოწვევები აღმზრდელებისა და პედაგოგების ინტერკულტურული კომპეტენციების კუთხით.
- რესურსების ნაკლებობა/არასათანადო რესურსები მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, მათ შორის რიცხობრივად მცირე ეთნოსების ენების შესასწავლადაც.
- კვლავ პრობლემურია მასწავლებელთა გადამზადება, ახალგაზრდა პედაგოგთა მოზიდვა, კარიერული ზრდის საკითხები.
- დადებითი ტენდენციაა პროფესიული განათლების მიმართულებით. 2022 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 292 ახალგაზრდა, (2021 წელთან შედარებით 18.5% -ით მეტი).

მიზანი 4:

- სამოქმედო გეგმის მიღმა რჩება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები, რომლებმაც დატოვეს სკოლა სხვადასხვა მიზეზით, კერძოდ, გეგმაში არ

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

აისახება მათ მიერ სკოლის „მიტოვების მაჩვენებელი“. სწავლის მიტოვების მაჩვენებელი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში - ქვემო ქართლში 3.8%, სამცხე ჯავახეთში კი 2.1%-ით. მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის სტატისტიკა არ იძლევა სრულ ინფორმაციას სწავლის შეწყვეტის რეალური მიზეზის შესახებ. ანალიზისას, გასათვალისწინებელია გოგონათა მიერ სკოლის მიტოვების სტატისტიკა, რაც შესაძლოა დამატებით ფაქტორებზე მიუთითებდეს (ოჯახში ძალადობა, ადრეული ქორწინება და ა.შ.).

- მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასკოლო სახელმძღვანელოებში ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციული შინაარსის მასალისგან გასათავისუფლებლად, მაგრამ პრობლემად რჩება სახელმძღვანელოებში ეთნიკური მრავალფეროვნების სრულფასოვნად ასახვის საკითხი. რიგ შემთხვევებში, სახელმძღვანელოები არასათანადოდ /არასრულფასოვნად ასახავს ქვეყნის ისტორიაში სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ღვაწლს და ეთნიკური უმცირესობების წვლილის ქვეყნის განვითარებაში და ისტორიულ კონტექსტში. შესაბამისად, კონტექსტის ახსნა, მგრძნობელობის გაღვივება მთლიანად მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და ინტერკულტურულ კომპეტენციებზე გადადის. ეს მაშინ, როდესაც მასწავლებლებს ჯერ კიდევ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ მულტიკულტურული განათლების არსისა და მიზნების შესახებ.

მიზანი 5:

- სამოქალაქო, პოლიტიკურ და საჯარო მმართველობაში უმცირესობათა მონაწილეობა არ არის გაუმჯობესებული. პარლამენტში უმცირესობათა რაოდენობა (3.5%) თითქმის ოთხჯერ ნაკლებია ვიდრე უმცირესობათა რაოდენობა მთლიან მოსახლეობაში. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ძალიან მცირე რაოდენობით/ან საერთოდ არ არიან წარმოდგენილი ცენტრალურ ხელისუფლებისა და დედაქალაქის მმართველობაში. სამცხე-ჯავახეთში უმცირესობათა საჯარო სექტორში ჩართულობა სრულად შეესაბამება მოსახლეობაში მათ რაოდენობას, უმცირესობები არასათანადოდ არიან წარმოდგენილი ქვემო ქართლის საკრებულოებში და მერიებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.
- უმცირესობათა საჯარო სამსახურში ჩართულობის გაუმჯობესების მიზანს “1+4” სტაჟირების პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივ აღწევს. დაბალია თვითმმართველობებთან არსებულ გენდერულ საბჭოებში უმცირესობათა წარმომადგენლობა. უმცირესობათა წარმომადგენელ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება მიმდინარეობს, თუმცა პროგრამის ტემპი და მასში ჩართულ მოხელეთა რაოდენობა ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. გამოწვევად რჩება უმცირესობათა, განსაკუთრებით კი ქალთა ჩართულობა საარჩევნო ადმინისტრირების პროცესში ქვემო ქართლში.

მიზანი 6:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დღეში ოთხჯერ გადიოდა საინფორმაციო გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია ამ ინფორმაციის მიღება პირველი არხის ვებგვერდის, სხვადასხვა ონლაინპლატფორმის, ასევე, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით. უცნობია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის “ერთიანობა მრავალფეროვნებაშია” მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

რეგიონებში საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო გამოშვებების მაყურებელთა სტატისტიკა. ადრე ჩატარებული კვლევების თანახმად მას უმცირესობათა მხოლოდ 4,5% უყურებდა.

- ზოგიერთი კვლევის მიხედვით დაბალი რეიტინგი აქვს ინტერნეტში განთავსებულ სომხურ და აზერბაიჯანულ ენოვან "მოამბეს" და მაუწყებლის ვებ-პორტალზე განთავსებულ გადაცემებს.
- აზერბაიჯანულ და სომხურენოვან გაზეთებს "გურჯისტანი" და "ვრასტანი" ძირითადად მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ხანდაზმული მოსახლეობა და პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები ეცნობიან.
- არ ჩატარებულა მედიის წარმომადგენლების ინფორმირების გაუმჯობესების ხელშემწყობი ღონისძიებები, შესაბამისად, სახელმწიფომ არ იზრუნა უმცირესობათა მედია პროდუქტის ხარისხის განვითარებაზე.
- სახელმწიფოს მიერ დეზინფორმაციის გავრცელების პრევენციის მიზნით მოსახლეობის ინფორმირების გაუმჯობესება მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიებით შემოიფარგლა, კვლევები მიუთითებს ამ კუთხით არსებულ საგანგაშო სიტუაციაზე.

მიზანი 7:

- 2021-2022 წლებში მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა გენდერული ცნობიერების ამაღლების თუ ზოგადად ანტი-დისკრიმინაციული კუთხით, თუმცა მათი ხარისხის და შედეგების შემოწმება გამოწვევად რჩება.
- არ იკვეთება ბმა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, ისევე როგორც უმრავლესობის ჯგუფის ნაწილში, მოსახლეობის ინფორმირებულობასა და მათი დამოკიდებულებების ცვლას შორის. პირიქით, ბოლო კვლევების თანახმად, ნატოსა და ევროკავშირის მხარდაჭერა ყველაზე დაბალი სწორედ ეთნიკურ უმცირესობებშია - „არ ვიცი" პასუხების მიხედვით. ამასთან, საქართველოს მთავრობას 2020 წლის შემდეგ არ განუახლებია „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ მთავრობის სტრატეგია."
- მართლმსაჯულების ნაწილში "ნდობის შესაქმნელად" , მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენისა და დამოკიდებულებების ცვლის გაზომვის მექანიზმების შემუშავება, სამართალდამცველთა სწავლება-გადამზადების ეფექტიანობის და მგრძნობელობის ამაღლების ხარისხის შესაფასებლად. შესრულების ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს იურიდიული სამსახურის მიერ სპეციფიკური ჯგუფებისთვის გაწეულ დახმარებათა რაოდენობას (რათა შეფასდეს სერვისზე მიმართვიანობა).
- სახელმწიფო ნორმატიული აქტების თარგმანის კუთხით გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ნორმატიული აქტების გზამკვლევის შექმნა უმცირესობათა ენებზე.

მიზანი 8:

- გამომწვევად რჩება სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირება.
- ინფორმირების თვალსაზრისით ეთნიკური უმცირესობები მწვავე პრობლემებს აწყდებიან ჯანმრთელობის სერვისზე ხელმისაწვდომობის კუთხითაც.

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

- შესრულების ანგარიშის მონაცემების თანახმად, იზრდება ბიზნეს სუბიექტთა და სასტუმროების რაოდენობა უმცირესობათა რეგიონებში, თუმცა წარმოდგენილი მონაცემებით ვერ დგინდება ის, თუ კონკრეტულად რამდენი ბიზნეს სუბიექტია უმცირესობათა წარმომადგენელი, ან რამდენი სასტუმრო დაწესებულებაა მათ მფლობელობაში.
- სახელმწიფოს მიერ შექმნილ ტურისტულ ვებგვერდებზე არ მოიპოვება ინფორმაცია უმცირესობათა ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ.

მიზანი 9:

- უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების კუთხით სახელმწიფოს მუშაობა არ ფასდება დადებითად 2021 და 2022 წლების განმავლობაში.
- საქართველოს ცენტრალურ მუზეუმებში არ არის წარმოდგენილი უმცირესობათა კულტურული მრავალფეროვნება. სახელმწიფო უწყებების ხელშეწყობით ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსა და სოფლებში ტარდება სხვადასხვა ეთნიკური დღესასწაულები. ამასთან დაკავშირებით უმცირესობათა თემის ზოგიერთი წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული დღესასწაულები ზედაპირული და უშინაარსოა. შესრულების გეგმასა და ანგარიშში მოყვანილი ზოგიერთი ღონისძიება მხოლოდ ირიბად უზრუნველყოფს კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობას.

რეკომენდაციები:

ზოგადი:

- სამოქმედო გეგმის ინდიკატორები გაიწეროს SMART კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო მიზნების და ამოცანების რისკები გამოითვალოს რეალობის გათვალისწინებით.
- მთავრობის 629 დადგენილების შესაბამისად, დროულად მოხდეს წლიური ანგარიშის შემუშავება და გამოქვეყნება. უმცირესობათა საბჭოს წევრ ორგანიზაციებს, სამოქალაქო სექტორს მიეცეს გონივრული ვადა სამოქმედო გეგმის პროექტის ანალიზისა და კომენტირებისთვის.
- შესრულების ანგარიშში აისახოს უმცირესობის წარმომადგენელ ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების (მიზანი 8) ჩაშლილი სტატისტიკურ მონაცემები.
- საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების/სასწავლო კომპონენტების შედეგიანობა რაოდენობრივ სამიზნე ნიშნეულებთან ერთად ხარისხობრივი ინდიკატორებით უნდა შემოწმდეს, რაც აქტივობათა შედეგების ეფექტიანობას დაადასტურებს.
- სასურველია გეგმით გათვალისწინებული მიზნების ქვეშ გაიწეროს მეტ-ნაკლებად თანაბარწონიანი აქტივობები.
- იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში (2009 წლიდან დღემდე) არავითარი აქტივობები არ ყოფილა გათვალისწინებენული (ბერძნები, პოლონელები, გერმანელები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, ლაიჯები (თათები) და სხვა) განხორციელდეს კულტურის,

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

იდენტობის დაცვის, ინტეგრაციის ხელშეწყობისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებული აქტივობები. აღნიშნული აქტივობები განხორციელდეს შესაბამის ეთნოსების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

<u>პრიორიტეტი 1</u>:

- სახელმწიფო ენის სწავლებაში ჩართულმა ყველა უწყებამ თანმიმდევრულად და ერთგვაროვნად დანერგოს სახელმწიფო ენის ცოდნის შეფასების ერთიანი სტანდარტი, რომელიც თავსებადი იქნება ენის ფლობის ზოგად ევროპული ჩარჩოსთან.
- „1+4" საგანმანათლებლო პროგრამა გადაიხედოს საერთაშორისო და ადგილობრივი რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემდეგი მიმართულებებით: (პროგრამის საგრანტო სქემა; ზოგადი უნარების აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ტესტების დონე (დაძლევის სირთულე); აბიტურიენტებს ენობრივი (საბაზისო) კომპეტენციების დადგენა; სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პროგრამებით ორმაგ სარგებლობაზე კონტრპროდუქტიული საკანონმდებლო შეზღუდვების მოხსნა; მოხდეს პროგრამის კურსდამთავრებულების წახალისება მუნიციპალიტეტებისთვის პრიორიტეტულ დარგებში დასასაქმებლად.
- ჩატარდეს სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების მიტოვების მაჩვენებლის მიზეზების ჩაშლილი კვლევა გეოგრაფიულ, ასაკობრივ, გენდერულ, ეთნიკურ, დასაქმების ჭრილში (მაგ. სოფლად მცხოვრები ქალები, მამაკაცები მუნიციპალიტეტების მიხედვით).
- დაინერგოს მონიტორინგისა და შეფასების უფრო მძლავრი მექანიზმები სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების/კურსების ეფექტიანობის დასადასტურებლად. რაოდენობრივ სამიზნე ნიშნულებთან ერთად გაჩნდეს ხარისხობრივი ინდიკატორები.
- უმცირესობათა თემებში სახელმწიფომ აწარმოოს შესაბამისი საინფორმაციო კამპანიები ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით.
- ხელისუფლებამ „გააძლიეროს ძალისხმევა" ტოპოგრაფიული ნიშნების განსათავსებლად უმცირესობათა ენებზე იმ „ტრადიციულ დასახლებებში", სადაც ცხოვრობს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი. სასურველია ამ პროცესში ეთნიკური უმცირესობების კვალიფიციურ წარმომადგენლებთან კონსულტაცია.

<u>პრიორიტეტი 2</u>:

- ჩამოყალიბდეს კვლევაზე დაფუძნებული, მიზნობრივი, საქართველოს კონტექსტთან ადაპტირებული მრავალენოვანი სწავლების მოდელი. სახელმწიფომ გაითვალისწინოს სამიზნე მუნიციპალიტეტებში არსებული მულტილინგვური სწავლების საუკეთესო პრაქტიკა.
- ბილინგვური/მულტილინგვური პროგრამის საკადრო რესურსის გასაძლიერებლად ხელი შეეწყოს სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგების პროფესიულ განვითარებას, განსაკუთრებით სკოლამდელი ასაკის აღმზრდელთა და სპეციალურ მასწავლებელთა გადამზადებას.
- გაფართოვდეს ბილინგვურ/მულტილინგვურ პროგრამაში ჩართული დაწესებულებების სია, განხორციელდეს პროგრამაში საკადრო რესურსის ჩართვის „მოტივატორების" კვლევა და არაქართულენოვან საჯარო სკოლებში კარიერული ზრდის ბარიერების შესწავლა.

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

- პრიორიტეტულად და ქმედითად გადაიჭრას საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემის და საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი.
- გაგრძელდეს მცირერიცხოვანი უმცირესობის ენების სწავლა-სწავლების მხარდაჭერა. სახელმწიფომ უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, პედაგოგთა გადამზადება, კარიერული ზრდის/მოტივაციის ხელშეწყობა. გაიზარდოს საკლასო საათების რაოდენობა.
- გაფართოვდეს პროფესიული განათლების პროგრამები. მოხდეს ორიენტირება უმცირესობების წარმომადგენელთა საქმიანობის მიმართულებებზე, გაიზარდოს პროგრამების მოქნილობა ვადების, გეოგრაფიული მდებარეობის და კონკრეტული ცოდნის შეძენის თვალსაზრისით.

<u>პრიორიტეტი 3</u>:

- ხელი შეეწყოს ცენტრალურ ხელისუფლებაში, დედაქალაქის მერიასა და საკრებულოში, მუნიციპალიტეტებში და სსიპ-ებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე უმცირესობათა წარმომადგენლების დაწინაურებას და გაიზარდოს მათი გადამზადებისკენ მიმართული სასწავლო აქტივობები.
- წახალისდეს უმცირესობათა და ქალთა მეტი ჩართულობა სახელმწიფო უწყებებში, ხელმძღვანელ პოზიციებზე და საოლქო საარჩევნო კომისიებში.
- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოახდინოს გადაცემების პოპულარიზება უმცირესობათა შორის,
- გაიზარდოს მედიის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობები.
- განხორციელდეს დამატებითი აქტივობები დეზინფორმაციის პრევენციის მიზნით.
- სამოქმედო გეგმით განისაზღვროს თანასწორი და თანაბარუფლებიანი გარემოს განსამტკიცებელ ღონისძიებათა განხორციელების ეფექტიანობის კრიტერიუმები (ბმა შესაბამის სტატისტიკურ მაჩვენებელთან), შემუშავდეს ცოდნის ან/და დამოკიდებულებების ცვლილების გაზომვის ინდიკატორი.
- ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად შემუშავდეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე წვდომის, კვლევაზე დაფუძნებული, ახალი, ეფექტიანი მექანიზმები.
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებმა სათანადოდ ასახონ ეთნიკური უმცირესობებისთვის გაწეული იურიდიული დახმარება. სერვისების ეფექტიანობის შესაფასებლად; სასურველია ჩატარდეს ბენეფიციართა კმაყოფილების და სასიკეთო გადაწყვეტილებათა კვლევა.
- ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები დაუკავშირდეს სახალხო დამცველის შესაბამის თემატურ რეკომენდაციებს რაც გაზრდის ადრესატი უწყებების ჩართულობას და დადებითად აისახება რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელზე.

<u>პრიორიტეტი 4</u>:

- სახელმწიფომ უზრუნველყოს ინფორმაცია და ხელმისაწვდომობა სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების და სერვისების შესახებ უმცირესობათა ენებზე.
- ხელი შეეწყოს ტურიზმს უმცირესობათა რეგიონებში.

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

- მეტი ყურადღება დაეთმოს საგანმანათლებლო, სამედიცინო და საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნას და რეაბილიტაციას. ამასთან, სახელმწიფომ უზრუნველყოს ჯანდაცვისა და ძალადობის ცხელი ხაზის ფუნქციონირება უმცირესობათა ენებზე.
- სახელმწიფო პროგრამების დანერგვის და განხორციელების მიზნით ინიცირდეს და ეტაპობრივად დაინერგოს უმცირესობებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა დამატებით საჯარო უწყებებში.

<u>პრიორიტეტი 5</u>:

- სახელმწიფო პროაქტიულად ჩაერთოს უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნების და რეაბილიტაციის საკითხში. მიიღოს და აამოქმედოს კონკრეტული სარეაბილიტაციო გეგმა უმცირესობათა ძეგლების გადარჩენის მიზნით.
- სასურველია სახელმწიფომ გაითვალისწინოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში უმცირესობათა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რელიგიური და საერო დღესასწაულების უქმედ გამოცხადების საკითხი.

მონიტორინგის შემაჯამებელი მიმოხილვა მომზადდა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური საბჭოს მიერ, პროგრამის "ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მხარდაჭერით, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მონიტორინგში ჩართულ ექსპერტებს და ეთნიკური საბჭოს წევრებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.